ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4482200

ნომერი: AR1677269

თარიღი : 23.04.2019

გაცემის თარიღი : 02.05.2019

გაცნობის თარიღი : 03.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ჩანტლაძის ქუჩა, ინტურისტის ბაზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერიან ტოგონიძე პ/ნ 01025007069
- ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. #28

ორგანიზაცია:
- სოფიო ჯორბენაძე კოდი: 01024027636

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ საპროექტო ღობის განთავსების ადგილი და აღნიშნული დოკუმენტაცია ატვირთეთ „ფაილის მიმაგრება-ს ველში.
- საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედებს სპეციალური შეზღუდვის ასაფრენი ზოლის ზონა, რისთვისაც საჭიროა ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე შეთანხმდეს აეროდრომის ექსპლუატანტთან, შპს "ტავ ურბან საქართველოს"-სთან. საქართველოს საჰაერო კოდესის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ.შესაბამისად, საჭიროა წარმოადგინოთ აეროდრომის ექსპლუატანტის შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს თანხმობა 2მ-იანი ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ჩრილოეთ ნაწილში :

- ვრცელდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა, შესაბამისად წარმოადგინეთ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მიერ გაცემული თანხმობა ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.
- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა“ (დანართი №1) შესაბამისად, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: № 01.19.17.003.056) ნაწილობრივ ვრცელდება პერსპექტიული მაგისტრალის შეზღუდვის არეალი. აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია პერსპექტიული მაგისტრალის შეზღუდვის არეალში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.
- ნაკვეთზე ვრცელდება მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი ს/კ N 01.01.834 და მიწისქვეშა კომუნიკაცია, წყალარინება ს/კ N 01.01.760 (მესაკუთრე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო), შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ღობის მოწყობასთან დაკავშირებით, როგორც წერილობითი ასევე დამოწმებული გრაფიკული მასალა.
- ასევე ვრცელდება ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი, წარმოადგინეთ შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.
- არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა). გაითვალისწინეთ თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge